საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 555

29 07 2015წ.

ქ. თბილისი

„ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 7 მარტის №111 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსის, ნინო ბერელიძის 2015 წლის 28 ივლისის №741261 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 7 მარტის №111 ბრძანებაში და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის (შემდგომში - ცენტრი) მიმართვის ვადები განისაზღვროს წელიწადში ორჯერ, პირველი აგვისტოდან პირველ ნოემბრამდე და პირველი თებერვლიდან პირველ მაისამდე."

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

დირექტორი



გიორგი შარვაშიძე

შემსრულებელი:

სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი

თარიღი:/28.07.15/----------/ქეთევან ჭუჭულაშვილი/

შეთანხმებულია:

სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი:/28.07.15/----------/ანა ბუჩუკური/

იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

თარიღი:/28.07.15/----------/ნინო ბეგიაშვილი/

კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველოს უფროსი

თარიღი:/28.07.15/----------/ნინო ბერელიძე/

დირექტორის მოადგილე

თარიღი:/28.07.2015/----------/თამარ ზაალიშვილი/

ხელმოწერის თარიღი : /29.07.2015/